ხელშეკრულება № 03-16/2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 02. 03 2018 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის მამუკა ბერიძის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52; ტელ.: 2200220
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „4 Catering" წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ანთიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ჭიათურის ქ. N13
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"; კოდი: BAGAGE22 ;
ანგ. № GE73BG000 0000 168966900
საიდენტიფიკაციო კოდი 400198772

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტმენტი) უფროსის 2018 წლის 2 მარტის N251636 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია 2018 წლის 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე წარმატებული მოსწავლეების მშობლებთან (მასწავლებლებთან)**კვების (ფურშეტის) მომსახურების შესყიდვა** (CPV55300000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **612,42 (ექვსასთორმეტი ლარი და 42 თეთრი)** ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	ყავა, ჩაი (შაქარი, ლიმონი, რძე)	25	1,80	45,00
2	მინი ნამცხვრების ასორტი	50	2,00	100,00
3	წვენის ასორტი (ლიტრი)	8	5,50	44,00
4	წყალი (ბოთლი)	25	1,00	25,00
5	ნუგბარის ასორტი	2	30,00	60,00
	მომსახურე პერსონალი (მიმტანი, მუშა)	2	62,50	125,00
	ტრანსპორტირება (ინვენტარი, პერსონალი, კვება)	1	120,00	120,00
			ჯამი:	**519,00**
			დ.ღ.გ:	**93,42**
			სულ:	**612,42**

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 დაფინანსების წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: **„განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუსავება“ (პროგრამული კოდი 32 0101).**

5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია შემსყიდველის მხრიდან შედგენილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის აქტი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამმართველოს უფროსს თამარ ესაკიას (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილ პირს).

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 მომსახურება განხორციელდება ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზში;

6.2 მომსახურების გაწევის ვადაა: 2018 წლის 3 მარტი.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

7.2 შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტში მოცემული ცხრილისა და ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

- ყველა პროდუქტი უნდა იყოს ახლად მომზადებული, შესაბამისი ტემპერატურის და ლამაზად პრეზენტირებული.
- დაუშვებელია ვადაგასული და საკვებად უვარგისი პროდუქტების მიწოდება.
- საკვების მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი უზრუნველყოს შესაბამისი ინვენტარით: ჭურჭლით, ხელსახოცებით, მაგიდის გადასაფარებლებით და სხვ.

- მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ მისივე ხარჯებით (ტრანსპორტირება, შენობის შესაბამის სართულზე ატანა და სხვ.)

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირია ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამმართველოს მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი მარიამ კევლიშვილი.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულება არ განიხილება და ჩაითვლება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება ან/და შეუსრულებლობა.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების და-დგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით

10.6 შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.7 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.8 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში ,,მიმწოდებელთან".

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

12.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

12.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 3 მაისის ჩათვლით.

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15.ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის	
ფუნქციათა შემსრულებელი	**შპს „4 Catering"-ის დირექტორი**
მამუკა ბერიძე	**ზაზა ანთიძე**
---	---

ხელშეკრულების პროექტი მოამზადა:

შესყიდვების სამმართველოს პირველი კლასის უფროსი სპეციალისტი: /მ.ფალიაშვილი/----------

შეთანხმებულია:

შესყიდვების სამმართველოს უფროსი: /მიხეილ კახნიაშვილი/ ----------

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი: /ნანა ხმალაძე/ ----------

სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან

ურთიერთობის სამმართველოს უფროსი: /გიორგი შეშაბერიძე/ ----------

მიღება–ჩაბარების აქტი №03-16/2

ქ. თბილისი 03.03, 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამმართველოს უფროსის **თამარ ესაკია - სალიბეგაშვილის სახით** და მეორეს მხრივ "მიმწოდებელი", **შპს „4 Catering" წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ანთიძის სახით,** ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 2 მარტს გაფორმებული №03-16/2 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, "მიმწოდებელმა", 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი: 32 01 01) დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე დედის დღესთან დაკავშირებით უზრუნველყო ფურშეტით მომსახურება საერთო ღირებულებით: **612,42 (ექვსასთორმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარი. მათ შორის:**

N	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	ყავა, ჩაი (შაქარი, ლიმონი, რძე)	25	1,80	45,00
2	მინი ნამცხვრების ასორტი	50	2,00	100,00
3	წვენის ასორტი (ლიტრი)	8	5,50	44,00
4	წყალი (ბოთლი)	25	1,00	25,00
5	ნუგბარის ასორტი	2	30,00	60,00
	მომსახურე პერსონალი (მიმტანი, მუშა)	2	62,50	125,00
	ტრანსპორტირება (ინვენტარი, პერსონალი, კვება)	1	120,00	120,00
			ჯამი:	**519,00**
			დ.ღ.გ:	**93,42**
			სულ:	**612,42**

612,42 (ექვსასთორმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

612,42 (ექვსასთორმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს.

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს _____

(თანხა ციფრით და სიტყვიერად)

ჩააბარა:

შპს **„4 Catering" -ის** დირექტორი: /ზ. ანთიძე /

მიიღო:

საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის
სამმართველოს უფროსი: /თ. ესაკია/

№3

03 მარტი, 2018 წ.

კონტროლის აქტი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს „4 Catering"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების N03-16/2; 02.03.18 შესაბამისად, ორგანიზაციამ გათვალისწინებულ ვადებში და არსებული პირობების დაცვით უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფურშეტის მომსახურების მოწოდება.

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)

საპროტოკოლო ღონისძიებათა მოწყობის სამმართველოს

მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

მარიამ კევლიშვილი _____